პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 სექტემბერი პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 215 (14211)

ᲛᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ მეორე კვარტალში დიდი წარმატებანი მოიპოვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების საქმეში. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების გეგმები.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი 1968 წლის მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს. მას მიენიჭა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულს — ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივს მიენიჭა მესამე ფულადი პრემია. (საქდესი).

• • •

თბილისი ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. **სურათზე:** საექსპერიმენტო სამაქროს ტექნიკური კონტროლის ოსტატი ქ. გოგინაშვილი (მარცხნივ) ამოწმებს მოწინავე ხარატის შ. ჯოხაძის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თაოსნობით 6 სექტემბერს ჭიათურის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. აბესაძე.**

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი **ლ. ჩხაიძე,** ახალი ითხვისის მაღაროს მუშა, ბუნკერ-მატარებლის მემანქანე **რ. ჯაფარიძე,** კალინინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის მდივანი **გ. მირონაძე,** მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. გამყრელიძე,** ჭიათურაშახტმშენის სამშენებელო სამმართველოს უფროსი **ა. ხობუა,** ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **შ. ჭილაძე,** დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი **გ. მეგრელიშვილი,** მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი **მ. აფაქიძე.**

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრის უფრო ფართოდ გაშლის ინიციატივა და იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი.

აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკისადმი. ჭიათურელთა მიმართვას და ვალდებულებებს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

1970 წლის აპრილში, გაზაფხულის ამ შესანიშნავ თვეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი ხალხი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები უდიდესი ზეიმითა და პოლიტიკური აღმავლობით აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შავ მეტალურგიას, რომელიც მძიმე ინდუსტრიის, სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. მეორე მხრივ, შავი მეტალურგია და, კერძოდ, ხარისხოვანი ფოლადის წარმოება წარმოუდგენელია, თუ მაღალი ხარისხის მარგანეცი არ გვექნა. ამიტომ ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებისადმი და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

ორი წლის წინათ ჩვენ, ჭიათურელი მაღაროელები, მოგმართავდით მოწოდებით **მხარი დაგეჭირათ ჩვენთვის და გაგვეშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის.**

ამ მოწოდებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენ ურიგოდ როდი ვიმუშავეთ. ნაცვლად ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 200.000 ტონისა სამშობლოს მივეცით 396.000 ტონა ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, აქედან 185.000 უმაღლესი ხარისხის მარგანეცი. მთლიანად სახელმწიფომ მიიღო 5.172.000 მანეთზე მეტი ღირებულების საერთო პროდუქცია, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

შრომის ნაყოფიერება გაზრდილ გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გაუმჯობესების გზით პირობითმა ეკონომიამ ნაცვლად ნაკისრი მილიონ ორასი ათასი მანეთისა ორ მილიონ სამას ოთხმოცდაერთი ათასი მანეთი შეადგინა. კიდევ უფრო ავამაღლეთ ჭიათურის აუზის მიწისქვეშა უბნებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სახალხო ლაშქრობაში მიღწეული წარმატებებისათვის სამუდამოდ მოგვაკუთვნეს საკავშირო და რესპუბლიკური საიუბილეო სამახსოვრო დროშები. ამავე დროს რამდენჯერმე მოვიპოვეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს, ასევე შავი მეტალურგიის სამინისტროს და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

მომავალი წელი ჭიათურის მარგანეცის აუზის მუშაკებისათვის ისტორიული თარიღია. სრულდება 90 წელი მას შემდეგ, რაც ჭიათურის ჭაღარა მთის გულში ქართველმა მუშამ პირველად დაჰკრა წერაქვი და დასაბამი მისცა მარგანეცის წარმოებას.

დღეს ჩვენს დიად ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მშრომელი ადამიანების შემოქმედებითი შრომა, მიძღვნილი დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისადმი.

ჭიათურის მშრომელებმა გავითვალისწინეთ გაწეული მუშაობა, ერთსელ კიდევ გადავსინჯეთ ჩვენი შიდარეზერვები და, ჩავებით რა საერთოსახალხო ლაშქრობაში, კვლავ მოგმართავთ უფრო მაღლა აპწიოთ ვ. ი. ლენინის დაბადების დიადი თარიღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ვიშრომოთ ლენინურად, კომუნისტურად, ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის.

ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒᲗ:

მიმდინარე ხუთწლედის მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმას შევასრულებთ ᲗᲐᲕᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ — 1970 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და სამშობლოს მივცემთ 450 ათას ტონა ზეგეგმითს პროდუქციას, მათ შორის 200 ათას ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატს, რითაც გამოვუშვებთ 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითს საერთო პროდუქციას.

დიდი ლენინის დაბადების საიუბილეო დღისათვის შევასრულებთ ოთხი წლისა და ექვსი თვის დავალებას, გეგმის გადამეტებით დავამზადებთ 400 ათას ტონა სასაქონლო პროდუქციას.

კიდევ უფრო ფართოდ დავნერგავთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, რითაც შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გავზრდით 3 პროცენტით.

ამყამად, ვემზადებით რა მომავალი წლის პირველი იანვრიდან წარმოების მართვის, დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად, ვკისრულობთ ახალი ტექნიკის დანერგვით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელებით ხუთწლედის ბოლოს სამშობლოს მივცეთ სამი მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება, ხოლო პროდუქციის რეალიზაციით — 6 მილიონი მანეთი.

გამომგონებლობით და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მივიღებთ ეკონომიას და ხუთწლედის ფონდში შევიტანთ 3 მილიონ მანეთს.

ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენებითა და მომჭირნეობით ხუთწლედის ბოლოსათვის დავზოგავთ 3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

დასავლეთ ციმბირის მეტალურგთა თაოსნობის პასუხად ვადაზე ადრე ავამუშავებთ ახალ სამრეწველო სიმძლავრეებს, მათ შორის: 1968 წელს მაღარო რგანის ახალ რიგს ასი ათასი ტონის სიმძლავრით — 7 ნოემბრისათვის; მაღარო ახალი ითხვისის მეორე რიგს ორასი ათასი ტონა სიმძლავრით — 15 დეკემბრისათვის; მაღარო დარკვეთის მეორე რიგს სამასი ათასი ტონა სიმძლავრით — 25 დეკემბრისათვის;

1969 წელს: მაღარო დარკვეთის მეორე რიგის ახალ უბანს სამასი ათასი ტონა სიმძლავრით — 1 დეკემბრისათვის; მაღარო ზედა რგანს ასი ათასი ტონა სიმძლავრით — 1 ნოემბრისათვის, ხოლო 1970 წელს — მაღარო დარკვეთის შემდგომ რიგს 300 ათასი ტონა სიმძლავრით — 15 ნოემბრისათვის.

ზემოაღნიშნული საწარმოო ობიექტების საპროექტო სიმძლავრეებს ავითვისებთ ნორმატიულ ვადებთან შედარებით სამი თვით ადრე.

ფართოდ გავაჩაღებთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ახალ ნაგებობათა მშენებლობას.

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒᲗ ᲠᲐ ᲐᲛ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜ, ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲔᲛᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲛᲣᲨᲐᲡ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ:

Ჯ. ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ — საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, **Შ. ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ** — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **Მ. ᲐᲤᲐᲥᲘᲫᲔ** — მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი, **ბ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ** — მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, **Გ. ᲭᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, **Მ. ᲓᲔᲚᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — კალინინის სახელობის მაღაროს მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **Შ. ᲭᲘᲚᲐᲫᲔ** — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მებიგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **Ჯ. ᲒᲝᲒᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — დიმიტროვის სახელობის მაღაროს მუშა, სოციალისტური შრომის ვეტერანი; **Ვ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ** — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი; **რ. ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ** — ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მთავარი ინჟინერი; **ნ. ᲩᲮᲔᲜᲔᲚᲘ** — დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი; **Გ. ᲪᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი; **ა. ᲮᲝᲑᲣᲐ** — ჭიათურაშახტმშენის სამშენებლო სამმართველოს უფროსი; **Ვ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ** — ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს დირექტორი; **Ზ. ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘ** — პერევისის მაღაროთსამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე; **Ი. ᲑᲘᲠᲑᲘᲩᲐᲫᲔ** — ახალი ითხვისის მაღაროს მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი; **ს. ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ** — ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი, კომუნისტური შრომის დამკვრელი; **ს. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ** — ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ცვლის უფროსი.



ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲔᲒᲖᲔᲑᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ

თელავი, 12 სექტემბერი. (საქდესის კორ. ლ. ბაბუა) მადლიანი კახეთი დღეს გულღიად შეეგება სტუმრებს — ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს მონაწილეებს.

დღის პირველ საათზე საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა ავტომანქანების კოლონა მიუახლოვდა თელავის ცენტრს, რომელიც მორთულია ალმებითა და ტრანსპარანტებით. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კახეთში!“ წარწერილია ტრანსპარანტებზე. კოლონას შეეგებნენ პიონერები, რომლებმაც სტუმრებს თაიგულები მიართვეს. თელაველები ტაშით შეხვდნენ საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, პროგრესულ საზღვარგარეთელ მწერლებსა და მთარგმნელებს.

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა შეხვედრა ადგილობრივ ინტელიგენციასთან, რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. პაიგულები მიართვეს.

თქვენ აქ ჩამობრძანდით სხვადასხვა ქვეყნიდან და ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა გამოგეთქვათ თქვენი გრძნობები და სიყვარული ჩვენი დიდი პოეტისადმი, მისი შემოქმედებისადმი. გული სიამაყით გგვესება იმის შეგნებით, რომ შორს საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაჰქონა მერანმა თავისი გენიალური მხედარი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თელავის ინტელიგენციისა და მოსწავლეთა სახელით სტუმრებს მიესალმა პედაგოგი მ. კვლეშვილი და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. მაკარტინა.

ᲬᲣᲮᲪᲔᲡᲛᲐ ᲙᲝᲚᲛᲣᲠᲜᲔᲛ, ᲮᲐᲡᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲩᲐᲜᲒᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ.

— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲕᲘᲫᲛᲔ, — განაცხადა ᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲝᲜᲔᲚᲐᲫᲔᲡᲐᲛ, — ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲕᲘᲫᲛᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲛ ᲚᲐᲠᲘᲡᲐᲛ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲛ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲣᲬᲕᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲣᲬᲕᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲣᲬᲕᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲗᲔᲡᲝ ᲒᲠᲬᲝᲚᲔᲑᲘᲗ...

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲬᲝᲠᲘᲡᲐᲛ ᲐᲡᲗᲝᲜᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲬᲣᲛᲝᲑᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲛ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲒᲐᲓ ᲐᲛᲐᲧᲕᲔᲚᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲠᲔ ᲘᲛᲘᲗᲐᲪ, ᲠᲐᲛ ᲨᲣᲠᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲡᲐᲣᲠᲘᲡ, ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲐ ᲡᲐᲢᲠᲘᲤᲝᲡ ᲛᲝᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲔᲚᲘ. ᲘᲪᲔᲜ ᲐᲥ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲔᲪᲐᲢᲠᲘᲜᲐ ᲭᲐᲒᲠᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲠᲔ ᲘᲛᲘᲗᲐᲪ, ᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲨᲔᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲨᲔᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲛᲔᲠᲔ ᲘᲛᲘᲗᲐᲪ, ᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲨᲔᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲚᲘᲪᲔᲡ ᲐᲚᲘᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲒᲠᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲕᲘᲫᲛᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲛ ᲚᲐᲠᲘᲡᲐᲛ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲛ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

— ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ, — ᲓᲦᲔᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥᲔᲓᲠᲘᲜᲔᲑᲐᲗ ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲣᲥᲘᲛᲔᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲐᲮᲠᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ. ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲠᲮᲚᲣᲚᲡ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲛᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲩᲐᲜᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲗᲮᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲡᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲕᲘᲫᲛᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲛ

შენი მერანი კვლავაც რბის

ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეები

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჩვენი თანამედროვეობა

ალოთა რუსთველის შემდეგ ნამდვილი პოეტური გმირობა დიახაც შენ აჩვენე საქართველოს! შენს გამოჩენას უსაზღვროდ დიდი, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს ქართულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულ პოეზიაში, და არა მარტო პოეზიაში.

ლიტერატურის, პოეზიის მაღალ საკითხებზე შოთა რუსთველის შემდეგ ჩვენი ხალხი პირველად, ღრმად და სერიოზულად შენმა გამოჩენამ ჩააფიქრა: რა არის ნამდვილი პოეზია, რა არის მისი საგანი, სად არის შემოქმედის ადგილი ადამიანთა საზოგადოებაში?

აგერ საუკუნეზე მეტი დრო გადის მას შემდეგ, რაც ამ საკითხებმა შესძრეს მოაზროვნე ქართველის გონება და დღემდე მათ ცენტრში მაინც შენ დგახარ.

რა არის პოეზიის საგანი, სად არის პოეტის ადგილი ადამიანთა საზოგადოებაში?

შენი უჭკნობი მაგალითი საბოლოოდ გვიდასტურებს, რომ არც ერთი ჭეშმარიტი შემოქმედი არ გაქცევია თავისი დროის, თავისი ქვეყნის სოციალურსა და თვით პოლიტიკურ პრობლემებსაც კ. ლიტერატურა, პოეზია საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანული ნაწილია, იგი ემორჩილება მისი განვითარების საერთო კანონებს, ფეხდადგეს მისდევს მას, უფრო მეტიც, — იგი თავისი დროის, თავისი ქვეყნის სამსახურში დგას.

შენც იქ იდექი, შენი დროის, შენი ქვეყნის სამსახურში. მაგრამ ჭეშმარიტ ხელოვნებას, ჭეშმარიტ პოეზიას თავისი, შემოქმედებითი ამოცანებიც, თავისი შინაგანი პრობლემებიც აქვს და ერთი ასეთი ძირითადი პრობლემა — ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის ურთიერთობაა. ამ ურთიერთობაზე კი შოთა რუსთველის შემდეგ ყველაზე მეტად შენ აღგვიძრავ ფიქრებს.

შენი უჭკნობი მაგალითი საბოლოოდ გვიდასტურებს — ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის ერთიანობის, განუყოფელობის აუცილებლობას მაღალ პოეზიაში. ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის დიალექტიკაზე დღესაც კი ბევრს კამათობენ, მაგრამ ერთი რამ შენს დროსაც ნათელი და აშკარა იყო: რაც უფრო მეტია ეროვნული საწყისი ნამდვილ, ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებში, რაც უფრო მეტად ქართულია იგი, რაც უფრო მეტად რუსულია, რაც უფრო მეტად ფრანგულია, მით უფრო მეტად მაღლდება იგი ზოგადკაცობრიულამდე.

ამ სრულყოფისაკენ, უბიძგოს ადამიანს ადამიანისაკენ. „სჯობს ელაპარაკო ადამიანს თავისუფლებაზე და არა მონობაზე“ — იტყოდა ბრძენი. თვით „უკვდავებაც მშვენიერსა სულში მდგომარებს“ — ამბობდი შენ და ესწრაფოდი ადამიანის სულის გამშვენიერებას.

ადამიანის თავისუფალ გონებას შენ მის რწმენასა, მიზნებსა და იმედებში ახედავდი. ამაში ნახე შენ ადამიანის წინსვლის საწინდარიც. ჭეშმარიტია! მართლაც და ახა, ამოართვით ადამიანს რწმენა და იმედები ისე, როგორც მანქანას ძრავი, და ნახეთ თუ არ დაკარგოს მან მოქმედების, წინსვლის უნარიც. ამიტომ იყო, რომ ისე ადამიანის სულის მხატვრული ამოხსნა საერთო საქვეყნო პროცესია და ვინ რა წვლილი შეტანა ამ დიდ საკაცობრიო საქმეში, ვინ რა, თუნდაც მცირედი მიმოხვრა შეამჩნია ადამიანის სულში, ვინ რა ახალი, თუნდაც წვრილი ვარსკვლავი აღმოაჩინა ლურჯად მოკედილ ცაზე, ამით ფასდებოდა და ფასდება, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედი.

შენ ის ელვარე ვარსკვლავი აღმოაჩინე, რომლის დანახვაც დღეს დედამიწის ყოველი წერტილიდან შეიძლება, ეს ვარსკვლავი თვით შენი შემოქმედებითი გენიის ლირიკული გმირია, თვით ნიკოლოზ ბარათაშვილი!

ამ აღმოჩენით შენ ზოგადკაცობრიულის შეცნობის საქვეყნო საქმეში ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანე, სულ რაღაც ორმოცოდე ლექსით. ამ ლექსებს დღეს საოთვალავით არავინ ითვლის და არშინით არავინ ზომავს. ზომა-წონის საწყაული ადამიანის მხატვრულმა წარმოსახვამ ხელში თემოდას მისცა და არა აპოლონს; ლიტერატურასა და ხელოვნებაში სამართლიანობისა და სიგრძე-სიგანის საზომთა გარდა სულ სხვა საზომები მოქმედებენ.

შენი უჭკნობი შემოქმედებითი გამარჯვება, შენი პოეტური გმირობა ის არის, რომ შენ სწორედ შენი თანამედროვეობის ტკივილები, უმძაფრესი საზოგადოებრივი პრობლემები ასწიე ზოგადკაცობრიულის სიმაღლეზე. ეს არის ჭეშმარიტი პოეზიის ამოცანა. ასე გესმოდა შენ თანამედროვეობასთან კავშირის საკითხი; ასე ესმის და ასე უნდა ესმოდეს დღესაც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს კავშირი ცხოვრებასთან.

შენს უჭკნობ მაგალითზე ჩვენს თვალწინ იმსხვრევა ბურჟუაზიული, უფრო სწორად, დიდი ქვეყნების ბურჟუაზიული კომპარატივიტიკის მტკიცებანი, თითქოს პატარა ერის ლიტერატურის დანშნულება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ მიიღოს დიდი ერების ლიტერატურული იმპულსები და ამ საფუძველზე შეეცადოს წასწოლოს წინ თავისი ქვეყნის მწერლობა, რაღაც საერთაშორისო სტანდარტამდე.

— არა, — ვამბობთ ჩვენ ამის გამო, რუსთველისა და შენს ქვეყანაში, — დიდი და პატარა ერები, არსებითად, აქ არაფერ შუაშია. აქ საქმე ადამიანის სულის შეცნობას ეხება, აქ საქმე დიდსა და პატარა პოეტებს შეეხება; ზოგადკაცობრიული გოეთემ დიდი ქვეყნის უსაზღვრო წიაღში ნახა, შენ და შენს შემდეგ, პირველ რიგში, ვაჟა-ფშაველამ კი ადამიანის სულის პირველადს ფასეულობებს, საიდანაც იღებს სათავეს ყოველი ზოგადკაცობრიული, პატარა ქვეყნის მიუვალ მთებში მიაკვლიეთ.

ლექსების — „ვეოვე ტაძარი“, „სული ობოლი“, „სული ბოროტი“, „მერანი“, „ჩემი ლოცვა“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“ ავტორი ადამიანის სულის ისეთ მარადიულ ხვეულებში შეიჭერ, რომელიც ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ადამიანს აღელვებს.

დიდმა ლიტერატურამ მხოლოდ თავისი სიდიდე იცის. დიდმა ლიტერატურამ დიდი და პატარა ერი არ იცის. დიდი ლიტერატურა ერს ადიდებს.

შოთა რუსთველი იქა ზის, მსოფლიოს იმ რამდენიმე რჩეულთა მაღალ სავარძელში, სადაც თავისი ეროვნული საწყისებუნ გამართული საგალობლებით, თვით უზარმაზარი ქვეყნების პოეტებიც კი ზოგადკაცობრიულის ანგარიშებს აბარებენ.

შენც იქ ტრიალებ, ჩვენო დიდო, ზედ ცხოვრების შუაგზაზე უცბად შემოღამებულო, სულ უჭკნობად ახალგაზრდა წინაპარო!

მიიღე მაგ პოეტური გმირობით აღტაცებული შენი მოდგმის მოკვდავი შთამომავლის ღრმა მადლობა, ჩვენო უკვდავო წინამორბედო.

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲝ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ამ ქართულობით მოხიბლა, ყველაფერთან ერთად, დღევანდელი მსოფლიო შოთა რუსთველმა, ამ ქართულობით ხიბლავ შენც დღევანდელ მსოფლიოს.

შენი უჭკნობი მაგალითი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ მაღალი პოეზია სალაღობო, გასართობი რამ კი არ არის, არამედ „სიბრძნისაა ერთი დარგი“. შენ შენი დროის უმეტეს პოეტთა ხელში სალაღობოდ ქცეული ქართული ლექსი არა მარტო შეაბრუნე და სწორ გზას დააყენე, არამედ მიეცი მას კიდევ რუსთველური სიღრმე, დაუსახე მას რუსთველური ამოცანები.

შენ რუსთველურად უმღერე მაღალი მინნი, ადამიანის თავისუფალ გონებას, და უმღერე იმიტომაც, რომ ჭეშმარიტი პოეზია მოწოდებულია ადამიანის სულში ეძებოს მხოლოდ ადამიანის სრულყოფილება და უბიძგოს მისკენ, ხმამაღლა შეუძახე შენ შენს თანამედროვეებს იმ ურწმუნო და უიმედო ეპოქაში.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს.

ადამიანის მაღალ დანშნულებას, მაღალ მოწოდებას, მაღალ ადამიანობას შენ, ულრმესი ტკივილებით დაკოდილი მგოსანი, მოქმედებაში ხედავდი. რა დიდებულია! ეს შენი ჭეშმარიტი პოეტური გმირობაა. სად, შენი სულის რა სიღრმეებში იპოვნე ეს ტატანური ძალა?

შენი უჭკნობი მაგალითი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ადამიანის სულის მოძრაობის ათასგვარი ნაირსახეობის მიგნება და ამოხსნა მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედს ძალუძს და მას აკისრია. ამის ოსტატები სწორედ რომ ბუნებით იბადებიან, დიახ იბადებიან.

ბრიულის შეცნობის საქვეყნო საქმეში ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანე, სულ რაღაც ორმოცოდე ლექსით. ამ ლექსებს დღეს საოთვალავით არავინ ითვლის და არშინით არავინ ზომავს. ზომა-წონის საწყაული ადამიანის მხატვრულმა წარმოსახვამ ხელში თემოდას მისცა და არა აპოლონს; ლიტერატურასა და ხელოვნებაში სამართლიანობისა და სიგრძე-სიგანის საზომთა გარდა სულ სხვა საზომები მოქმედებენ.

შენ უჭკნობი შემოქმედებითი გამარჯვება, შენი პოეტური გმირობა ის არის, რომ შენ სწორედ შენი თანამედროვეობის ტკივილები, უმძაფრესი საზოგადოებრივი პრობლემები ასწიე ზოგადკაცობრიულის სიმაღლეზე. ეს არის ჭეშმარიტი პოეზიის ამოცანა. ასე გესმოდა შენ თანამედროვეობასთან კავშირის საკითხი; ასე ესმის და ასე უნდა ესმოდეს დღესაც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს კავშირი ცხოვრებასთან.

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲝ!

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲝ!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ამ ქართულობით მოხიბლა, ყველაფერთან ერთად, დღევანდელი მსოფლიო შოთა რუსთველმა, ამ ქართულობით ხიბლავ შენც დღევანდელ მსოფლიოს.

შენი უჭკნობი მაგალითი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ მაღალი პოეზია სალაღობო, გასართობი რამ კი არ არის, არამედ „სიბრძნისაა ერთი დარგი“. შენ შენი დროის უმეტეს პოეტთა ხელში სალაღობოდ ქცეული ქართული ლექსი არა მარტო შეაბრუნე და სწორ გზას დააყენე, არამედ მიეცი მას კიდევ რუსთველური სიღრმე, დაუსახე მას რუსთველური ამოცანები.

შენ რუსთველურად უმღერე მაღალი მინნი, ადამიანის თავისუფალ გონებას, და უმღერე იმიტომაც, რომ ჭეშმარიტი პოეზია მოწოდებულია ადამიანის სულში ეძებოს მხოლოდ ადამიანის სრულყოფილება და უბიძგოს მისკენ, ხმამაღლა შეუძახე შენ შენს თანამედროვეებს იმ ურწმუნო და უიმედო ეპოქაში.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲣᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ არიან ადამიანები, რომელთაც წილად ხვდათ იყვნენ ერის რჩეულნი, მისი ტკივილების მოზარენი, უკეთესი მერმისისათვის თავდადებული მებრძოლნი. მათ შესწევთ უნარი შეიჭვონ და წარმოადგინონ ერის სულიერი, პოტენციური შესაძლებლობანი, ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეზე აიყვანონ ლექსად თქმული სიმღერები და ფილოსოფიური განსჯანი. ასეთი იყო დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ჩემთვის, როგორც მუსიკოსისათვის, ბარათაშვილის პოეზიის თვითმყოფობა და სიდიადე შთაგონების წყაროა. მოკრძალებით ვეხები მისი ლექსის თვითეულ სტროფს. ბარათაშვილის ლირიკა მოიცავს მუსიკალობით და პლასტიკურობით, მისი ლექსი საოცრად ელვარეა, საიდუმლო ნიუანსებით სავსე...

ქართველი მუსიკოსები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან ბარათაშვილის წინაშე. მაგრამ ძნელია დაწერო მუსიკა ისეთ ლიტერატურულ ტექსტზე, რომელიც თვით მუსიკაა. ბარათაშვილის შემოქმედების მუსიკალობა გამოიხატება მის ღრმა და რთულ სიმფონიზირებულ აზროვნებაში და სტრუქტურაში. ეს უაღრესად ეროვნული თვისება თავისი ამაღლებული თავშეკავებული ელეგანტობით უძველესს ქართულ საგალობლებს მაგონებს.

ბარათაშვილმა აღადგინა თვითმყოფი ქართული ლიტერატურის ტრადიციები, გაათავისუფლა რა ქართული პოეზია აღმოსავლური გავლენისაგან. მინდა აქვე პარალელი გავავლო და აღვნიშნო, რომ აღმოსავლური გავლენა ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა მუსიკამ არ გაიზიარა, სპარსული ერთხმიანი ორნამენტი ვერა და ვერ მოერგო ქართული მრავალხმიანი სიმღერის ბუნებას, მის ესთეტიკას. ბუნებრივია, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგმა საუკუნეთა მანძილზე განიცადა ერთგვარი უცხოური გავლენები, ეს კანონზომიერია და ეს ზოგ შემთხვევაში ამდიდრებდა კიდეც ქართულ კულტურას, ხოლო ზოგჯერ კი, პირიქით, აბრკოლებდა მის განვითარებას. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ძველი ქართული სიმღერა-გალობა, რომელსაც არ განუცდია უცხო გავლენა.

ქართველმა ხალხმა თავისი მუსიკალური აზროვნება მრავალხმიანობის გზით წარმართა. მრავალხმიანი საგუნდო ხელოვნება ჩვენთან ჭეშმარიტად ვირტუოზულ სიმაღლემდე ავიდა, ე. ი. რთული სიმფონიური აზროვნება ბუნებრივი დასაყრდენი გახდა ქართული მუსიკალური კულტურისათვის...

დავუბრუნდეთ ისევ ბარათაშვილს. პოეტის სევდა ეს არ არის წუწუნი, უნიათო მოთქმა და ტირილი. ბარათაშვილის სევდა ჩამაფიქრებელია, განმწმენდელი, ამაღელვებელი, ნათელი. თუ მას მუსიკალურ ენაზე გადავიტანთ, მისი სევდა სრულიადაც არ აყოერდება როგორც სამგლოვიარო ჰიმნი, უიმედობის, ცხოვრებაზე გულგატეხილობის სიმღერა. ბარათაშვილის სევდა უაღრესად ვეფაცაურია, აქტიური, მებრძოლი. ამით ბარათაშვილი განსხვავდება რომანტიზმის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან.

პოეტის დაბადების 150 წლისთავის ზეიმზე მინდა ქართველ მუსიკოსებს მივულოცო ეს დღესასწაული და ვუსურვო ბარათაშვილის პოეტური შედევრების ტექსტებზე შეექმნათ ღირსეული მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც დიდი პოეტის პიროვნების და შემოქმედების საკადრისი იქნება.

ᲗᲘᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲣᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ არიან ადამიანები, რომელთაც წილად ხვდათ იყვნენ ერის რჩეულნი, მისი ტკივილების მოზარენი, უკეთესი მერმისისათვის თავდადებული მებრძოლნი. მათ შესწევთ უნარი შეიჭვონ და წარმოადგინონ ერის სულიერი, პოტენციური შესაძლებლობანი, ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეზე აიყვანონ ლექსად თქმული სიმღერები და ფილოსოფიური განსჯანი. ასეთი იყო დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ჩემთვის, როგორც მუსიკოსისათვის, ბარათაშვილის პოეზიის თვითმყოფობა და სიდიადე შთაგონების წყაროა. მოკრძალებით ვეხები მისი ლექსის თვითეულ სტროფს. ბარათაშვილის ლირიკა მოიცავს მუსიკალობით და პლასტიკურობით, მისი ლექსი საოცრად ელვარეა, საიდუმლო ნიუანსებით სავსე...

ქართველი მუსიკოსები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან ბარათაშვილის წინაშე. მაგრამ ძნელია დაწერო მუსიკა ისეთ ლიტერატურულ ტექსტზე, რომელიც თვით მუსიკაა. ბარათაშვილის შემოქმედების მუსიკალობა გამოიხატება მის ღრმა და რთულ სიმფონიზირებულ აზროვნებაში და სტრუქტურაში. ეს უაღრესად ეროვნული თვისება თავისი ამაღლებული თავშეკავებული ელეგანტობით უძველესს ქართულ საგალობლებს მაგონებს.

ბარათაშვილმა აღადგინა თვითმყოფი ქართული ლიტერატურის ტრადიციები, გაათავისუფლა რა ქართული პოეზია აღმოსავლური გავლენისაგან. მინდა აქვე პარალელი გავავლო და აღვნიშნო, რომ აღმოსავლური გავლენა ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა მუსიკამ არ გაიზიარა, სპარსული ერთხმიანი ორნამენტი ვერა და ვერ მოერგო ქართული მრავალხმიანი სიმღერის ბუნებას, მის ესთეტიკას. ბუნებრივია, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგმა საუკუნეთა მანძილზე განიცადა ერთგვარი უცხოური გავლენები, ეს კანონზომიერია და ეს ზოგ შემთხვევაში ამდიდრებდა კიდეც ქართულ კულტურას, ხოლო ზოგჯერ კი, პირიქით, აბრკოლებდა მის განვითარებას. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ძველი ქართული სიმღერა-გალობა, რომელსაც არ განუცდია უცხო გავლენა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ქართველმა ხალხმა თავისი მუსიკალური აზროვნება მრავალხმიანობის გზით წარმართა. მრავალხმიანი საგუნდო ხელოვნება ჩვენთან ჭეშმარიტად ვირტუოზულ სიმაღლემდე ავიდა, ე. ი. რთული სიმფონიური აზროვნება ბუნებრივი დასაყრდენი გახდა ქართული მუსიკალური კულტურისათვის...

დავუბრუნდეთ ისევ ბარათაშვილს. პოეტის სევდა ეს არ არის წუწუნი, უნიათო მოთქმა და ტირილი. ბარათაშვილის სევდა ჩამაფიქრებელია, განმწმენდელი, ამაღელვებელი, ნათელი. თუ მას მუსიკალურ ენაზე გადავიტანთ, მისი სევდა სრულიადაც არ აყოერდება როგორც სამგლოვიარო ჰიმნი, უიმედობის, ცხოვრებაზე გულგატეხილობის სიმღერა. ბარათაშვილის სევდა უაღრესად ვეფაცაურია, აქტიური, მებრძოლი. ამით ბარათაშვილი განსხვავდება რომანტიზმის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან.

პოეტის დაბადების 150 წლისთავის ზეიმზე მინდა ქართველ მუსიკოსებს მივულოცო ეს დღესასწაული და ვუსურვო ბარათაშვილის პოეტური შედევრების ტექსტებზე შეექმნათ ღირსეული მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც დიდი პოეტის პიროვნების და შემოქმედების საკადრისი იქნება.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲑ ᲙᲐᲮᲔᲗᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ზემოთ ე. ტიხონოვი სიტყვით გამოდის საზეიმო სხდომაზე თელავის სახელმწიფო თეატრში (ქვემოთ) თელაველი ახალგაზრდები კომუნისტური გამომცემლობა „ედიტერ ფრანსე რეიუონის“ დირექტორთან მადლენ ბრონისთან (ცენტრში) და ფრანგ პოეტთან ჟაკ გოშერონთან (მარჯვნივ).

ფოტო ს. კილაძისა.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓᲐᲜ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲝᲠ ᲓᲦᲔᲡ გაგრძელდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“ მოაწყვა. თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ისტორიული ცოდნის პროპაგანდის სექციების თავმჯდომარეები და ლექტორები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ვარდოსანიძემ გააკეთა მოხსენება „იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ეტაპზე“. ისტორიული ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ა. სურგულაძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ და საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების ამოცანებს.

მოისმინეს ლექციები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. მირცხულავისი „ვ. ი. ლენინი — დიდი თეორეტიკოსი და რევოლუციის გენიალური სტრატეგი“, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ზ. კარდაშჩენკოსი (მოსკოვი) „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ბრეგაძისა „მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ერის შესახებ“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. ესაიაშვილისა „ვ. ი. ლენინი და საქართველო“, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორ-კონსულტანტის ლ. რეზნიკოვისა „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა. (საქდესი).

215.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ — ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ნყალტუბოელი მეჩაიეები შარშანდელი შედეგებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს, წლევანდელ უამინდობას სძლევენ და იმისათვის იბრძვიან, რომ სიტყვა არ გატეხონ, გეგმით გათვალისწინებული 4.670 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 5.500 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

პლანტაციებიდან ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები. რაიონში უკვე მოკრეფილია 4.250 ტონაზე მეტი ნედლეული, ჩაის კრეფის წლიური გეგმები შესრულეს ქვილიშორის, ცხუნცურისა და ძველა მესხეთის კოლმეურნეობებმა. კიდევ რამდენიმე დღე, და წყალტუბოელები საერთო გამარჯვებას იზეიმებენ.

ისეთი ახალგაზრდა მეჩაიეებთან, როგორიც ქვილიშორის კოლმეურნეობა ჰყავს, სოფელი კი არა, მთელი რაიონი ამაყობს. დარიკო ვარდანიძე ათი მკრეფავისაგან შემდგარ კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს უძღვება. დარიკომ და მისმა დობილებმა ნახევ და ნათელა ვარდანიძეებმა, ფოთოლა და ეფეფნა კინწურაშვილებმა, რუსიკო და ციალა გოზიაძეებმა, ნაზი გედენიძემ, მალვინა ბენიძემ და მალვინა ჯიმშელეიშვილმა სამი-ხუთი ტონა ნედლეული მოკრიფეს.

კომუნისტმა შალვა იობიძემ 1.700 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, დღეში 30-40 კილოგრამს კრეფენ შოთა გოგიძე და ვასილ ქარსანიძე. კომუნისტ დავით გელენიძესთან ერთად საკრეფად გამოდის მისი ოჯახის ყველა წევრი.

კომუნისტი მეჩაიე ქსენია კუხალაშვილი მაინც ყველასგან გამოირჩევა. იგი მთელი რაიონის შუქურაა. ექვსი შვილიშვილის პატრონია ქსენია, მაგრამ ამა რომელ ახალგაზრდას ჩამოუვარდება. დღემდე უკვე მოკრიფა 8 ტონა და 750 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და იმისათვის იბრძვის, რომ სულ სეზონში 10 ტონა ნედლეული მოკრიფოს.

Ш. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲐᲖᲔ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). გაიმართა პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს პლენუმი. განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბ. ᲯᲝᲮᲝᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ, მისი საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ გადაყვანის გამო.

პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია Ш. ᲨᲐᲠᲗᲐᲨᲐ.

ᲐᲑᲠᲐᲣᲘᲡ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა Ш. ᲨᲐᲠᲗᲐᲨᲐ.

საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია З. ᲙᲝᲙᲐᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ აგრეთვე პარტიის სოხუმის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა З. ᲙᲝᲙᲐᲘᲐ გაათავისუფლა საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ხ. ᲐᲕᲘᲫᲑᲐ.

პლენუმების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი З. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲐ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე Ф. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲖᲔ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ᲨᲐᲜᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ გაათავისუფლა მოვალეობისაგან მისი უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნის გამო და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ხ. ᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). გაიმართა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია З. ᲙᲝᲙᲐᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ З. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲐ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-Ს ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲡᲠ-Ს ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ф. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
13 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1968 Წ.

საერთაშორისო სხლოვნება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები მეკატყობინებენ

ჩეხოსლოვაკიაში მდგომარეობის გამო

ჩეხოსლოვაკიის პრესა ფართოდ აშუქებს საბჭოთა ხელმძღვანელებთან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ო. ჩერნიკის 10 სექტემბერს მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგებს. ამ მოლაპარაკებანი და მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებებს მიიჩნევენ მნიშვნელოვან წვლილად ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური პრობლემების გადაჭრაში. ამასთან ო. ჩერნიკის საუბრებმა მოსკოვში კვლავ დადასტურეს, რომ ახლა მთავარია თანამიმდევრულად განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს 1968 წლის 25-26 აგვისტოს მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება.

მოსკოვში ო. ჩერნიკის მოლაპარაკების შედეგებმა დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო წრეებში. პროგრესული საზოგადოებრიობის აზრით, ეს შედეგები დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და ურთიერთობის განმტკიცებას.

10 სექტემბერს პრაღაში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა ლ. სვობოდას, ა. დუბჩეკის, ი. სმრკოვსკის, ო. ჩერნიკოსა და გ. ჰუსაკის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკია განამტკიცებს სოციალისტურ წყობილებას, განავითარებს მის დემოკრატიულ და კომუნისტურ ხასიათს, ემსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

მიმართვაში საზღვარგარეთ წასულ ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა მტრულმა პროპაგანდამ და აყოვნებენ სამშობლოში დაბრუნებას, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები მოუწოდებენ დაბრუნდნენ სამშობლოში და ხელი მოჰკიდონ მუშაობას.

ჩეხოსლოვაკიაში ნამდვილი მდგომარეობის ფონზე სწორედ რომ უსუსურად გამოიყურება ბურჟუაზიული პროპაგანდის ჯახირი, რომელიც ჯერ კიდევ გაიძახის, თითქოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სდევნიდნენ ინტელიგენციას და იგი იძულებული იყოს გაიქცეს საზღვარგარეთ. 8 სექტემბერს რომში ევროპის მწერალთა გაერთიანების სახელით გამოქვეყნდა ეგრეთ წოდებული „მანიფესტი“ რომელიც შეიცავს მოწოდებას იხსნან „განდევნილი, საპყრობილეში ჩაყრილი, გადასახლებული“ ჩეხოსლოვაკიელი კოლეგები და სხვ. ეს მორიგი ბოლიტიკური დივერსია მხოლოდ ნიღაბს ხდის იმათ, ვინც იგი წამოიწყო.

ასეთივე მონაჩმახია მტრული პროპაგანდის ცდები სპეციალურად გამოიყენონ ეგრეთ წოდებული „ზარალის“ საკითხი, რომელიც თითქოს მოსვლოდეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას მოკავშირე ქვეყნების მოქმედებით. ეს საკითხი, კერძოდ, აღძრეს დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდაუმ“ და ბურჟუაზიული პროპაგანდის სხვა ორგანოებმა. გაკვირვებას იწვევს ის, რომ დასავლეთ გერმანიის პრესის ასეთი მსჯელობა აღწევს ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე და რადიოგადაცემებში.

განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენენ ის კომენტატორები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თავიანთ არალეგალურ ფურცლებსა და რადიოგადაცემებში მოუწოდებდნენ ხალხს გაეწყვიტათ კავშირგამბმულობის ხაზები, მწყობრიდან გამოეყვანათ ელექტროქვესადგურები და გაეჩერებინათ წარმოება, მოეწყოთ გაფიცვები, საბოტაჟი, დაეხურათ მაღაზიები, სასტუმროები და სხვ. ამგვარმა მოქმედებამ, რომელიც გამოიწვია კონტრრევოლუციონერთა ჩაქეზებამ, მართლაც მიაყენა გარკვეული ზარალი სახალხო მეურნეობას, და, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი აზღვევინებს დანშაპვეებს.

პრაქტიკული შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის მსვლელობაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს სოციალისტური მონაპოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლ პატრიოტთა კონსოლიდაციის პროცესი. ამავე დროს არ შეიძლება არ დავინახოთ მემარჯვენე ანტისოციალისტური ძალების ცდები კონსოლიდაციისა და ერთიანობის ლოზუნგები გამოიყენონ იმისათვის, რომ დაფარონ ამ ბოლო დროს ანტიხალხური საქმიანობით სახელგატეხილი ელემენტები და თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა. არიან ისეთნიც, რომლებიც თავიანთ საკარო გამოსვლებში ქმნას ასხამენ არალეგალური რადიოსადგურების საქმიანობას. ასეთი ცდები ნაკარნახევია განზრახვით შეაფერხონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ძალების გონივრული მისწრაფება ერთიანობისადმი, იმათი იზოლაციისა და მხილების გარდუვალი პროცესი. ვინც არ კარგავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კაპიტალიზმის რესტავრაციის იმედს.

მაგრამ უეჭველია, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი, მისი კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობენ რა კლასობრივი შეგნებით, შეძლებენ ბოლომდე გაერკვნენ რთულ თანამედროვე ვითარებაში და დაიცვან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები.

საკდესი, 11 სექტემბერი.

მთავრობის სხდომა

პრაღა, 11 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დღევანდელ სხდომაზე მოიწონა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურების მოლაპარაკების ის შედეგები, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 10 სექტემბერს.

ლ. სვობოდას გამოსვლა

პრაღა, 11 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ლ. სვობოდა დღეს ეწვია ჩეხოსლოვაკიის მძიმე მანქანათმშენებლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს პლზენს. იგი შეხვდა „შკოდას“ მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

ამ საწარმოს კოლექტივის მიტინგზე გამოსვლისას ლ. სვობოდამ ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი საკუთარ უპირს ჰხარს კომუნისტური პარტიის მეცადინეობას, რომლის მიზანია ქვეყნის ვითარების ნორმალიზაცია. „თავისი მაღალი ორგანიზებულობითა და დისციპლინირებითი, — თქვა პრეზიდენტმა, — მუშათა კლასმა კვლავ დამტკიცა, რომ ჩვენი საზოგადოების ძირითადი და ყველაზე პროგრესული ძალაა“. ლ. სვობოდამ აღნიშნა, რომ „მუშათა კლასი ხელს უწყობს ჩეხოსლოვაკიის არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ცხოვრების კონსოლიდაციას, რომ იგი წარმართავს ამ პროცესს იმ როლის შესაბამისად, რომელსაც საზოგადოებაში ასრულებს“.

უფიფროების საგზაზე

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბასკაკოვი გვატყობინებს: გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ განაგრძო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის ახალი აგრესიული მოქმედების შედეგად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურის გენერალ ბულის მოხსენებანი მოწმობენ, რომ სუეცის არხის რაიონში საშიში შეიარაღებული ინციდენტები დაიწყო ისრაელის მიზეზით, თქვა პაკისტანის წარმომადგენელმა მ. იუნუსმა. უშიშროების საბჭომ უნდა მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ზუსტად დაცვას ახლო აღმოსავლეთში. ამ რაიონში დაძაბულობის გაშვებას, ხაზგასმით აღნიშნა პაკისტანის დელეგატმა, საფუძველად უდევს ისრაელის მიერ არაბულ ტერიტორიათა უკანონო ოკუპაცია, რაც ადგილობრივი არაბი მოსახლეობის კანონიერ წინააღმდეგობას იწვევს. ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგება, თქვა პაკისტანის წარმომადგენელმა. შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შეასრულებენ უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციას არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯ. ბოლმა აღიარა სუეცის არხის რაიონში მომხდარი ინციდენტების საშიში ხასიათი და დასჯერდა იმას, რომ თვალთმაქცურად მოუწოდა ორივე მხარეს თავი შეიკავონ საომარი მოქმედებისაგან.

ისრაელის ახალი შეიარაღებული პროვოკაციები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობას და უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს ამ რაიონში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა. უშიშროების საბჭოს არსებითად საქმე აქვს არა იზოლირებულ შემთხვევითს ინციდენტებთან, არამედ ისრაელის წინასწარგანზრახულ პოლიტიკასთან, რომ კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება ახლო აღმოსავლეთში. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ყალბი „საჩივრების“ შეტანით უშიშროების საბჭოში ისრაელი ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი, ჩამაბნიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება ტელ-ავივის საომარ სამზადისს, შეთითხნოს საბაბი არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ახალი აგრესიული აქტებისათვის.

ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისათვის, უამრავი მსჯელობისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გამოწვეული მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალისათვის დანაშაული მთლიანად და სავსებით ეკისრება ისრაელის მთავრობას, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა. უშიშროების საბჭოს მოვალეობაა გადაჭრით დაგმოს ისრაელის მოქმედება და მოსთხოვოს მას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს არაბულ ტერიტორიათა უკანონო ოკუპაცია.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ელ-კუნიმ ამხილა ისრაელის წარმომადგენლის ყალბი განცხადებანი, რომელიც კვლავ შეეცადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობისათვის გადაებრალებინა სუეცის არხის სეტერრში მომხდარი შეიარაღებული ინციდენტები. ფაქტები მოწმობენ, თქვა ელ-კუნიმ, რომ ისრაელის მხედრიონი გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად აწყობს შეიარაღებულ პროვოკაციებს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, ისრაელის დიპლომატია კი ცდილობს გაამართლოს ეს პროვოკაციები უშიშროების საბჭოში შეტანილი ოვალთმაქცური „საჩივრებით“.

საბჭოთა დელეგაცია ბულგარეთში

ფხენიანი, 11 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, დღეკანდელი დღე გაატარა ხამხინში — აღმოსავლეთ სანაპიროზე ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრში.

საბჭოთა სტუმრები, რომლებსაც ხამხინში ახლდნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ლი დიუენი, ეწვივნენ რენხონის მანქანათმშენებელ ქარხანას — სახალხო კორეის სიამაყეს.

დ. ს. პოლიანსკემ და დელეგაციის სხვა წევრებმა დაათვალიერეს ქარხნის საამქროები, გაეცნენ მისი კოლექტივის მუშაობასა და ცხოვრებას. დათვალიერების შემდეგ სტუმრები მივიდნენ ქარხნის კლუბში, სადაც გაიმართა მანქანათმშენებელთა მიტინგი.

მიტინგზე გამოსვლისას ქარხნის მთავარი ინჟინერი პან ილ ბენი საწარმოს კოლექტივის სახელით მიესალმა საბჭოთა დელეგაციას და მთელ საბჭოთა ხალხს და უსურვა წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

შემდეგ გამოვიდა დ. ს. პოლიანსკი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ვიეტნამეგა სუეცის არხის ზონაში

კაირო, 11 სექტემბერი. (საკდესი). პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი დღეს საღამოს თავმჯდომარეობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომას, რომელმაც მოისმინა სამხედრო მინისტრის გენერალ მუჰამედ ფაზლის მოხსენება სუეცის არხის ზონაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის შესახებ. ამას იუწყება მენის საagენტო. ტელ-ავივიდან მიღებული ცნობები, აღნიშნავს საagენტო, მოწმობენ, რომ უახლოეს დროში მოსალოდნელია ისრაელის ჯარების სამხედრო აქციები სუეცის ფრონტზე. ისრაელმა თავი მოუყარა მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს ფრონტის მთელი 100-კილომეტრიანი ხაზის გასწვრივ. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე დაიანმა და ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ხაიმ ბარდევმა ამ დღეებში საინსპექციო მოგზაურობა მოაწყვეს არხის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მენის საagენტო ხაზს უსვამს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პირებს განუწყვეტელი კონტაქტი აქვთ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან კაიროში, რათა აცნობონ მათ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება.

ჩეხოსლოვაკიის გზებზე

საბჭოთა არმიის მებრძოლები მიესალმებიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეომრებს.

ფოტო ვ. სოგოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბელ თბილისში გაიხსნება ევროპული ზეთების სპეციალისტთა 4 საერთაშორისო კონგრესი.

ამასთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ი. ჩოგოვაძე ესაუბრა საქდესის კორესპონდენტს.

□ □

სიტყვა „საქართველოს“ დღეს თითქმის ყველა კონტინენტის ეფერზეთოვანთა მრეწველობის მეცნიერები და სპეციალისტები წარმოთქვამენ. ჩვენი რესპუბლიკა არჩეულია ეფერეოვანი ზეთების სპეციალისტთა მე-4 საერთაშორისო კონგრესის ადგილად.

ასეთი ფორუმების მოწყობის ტრადიცია 1956 წელს შეიქმნა. იმ წელს იტალიის პატარა ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში, რომელიც აპენინის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, პირველ კონგრესზე შეიკრიბნენ ეფერეოვანი ზეთების სპეციალისტები. სამი წლის შემდეგ საკუთრობა ქალაქ გრასში, საფრანგეთის ლაჟვარდოვან ნაპირზე გაიმართა მეცნიერთა მეორე შეხვედრა, ხოლო 1964 წელს კონგრესი მოეწყო ბულგარული ვარდების მხარეში—ქალაქ პლოვდივში. აქ მიიღეს ჭადაწყვეტილება საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1968 წლის 17-დან 21 სექტემბრამდე მოეწყოთ ეფერეოვანი ზეთების სპეციალისტთა მორიგი მე-4 კონგრესი.

ეს, უეჭველია, მოწმობს საბჭოთა კავშირის ეფერზეთოვანთა მრეწველობის დიდ წარმატებებს, აგრეთვე მის პროდუქციის საერთაშორისო აეტორიტეტის ზრდას.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ეფერზეთების ერთ-ერთი უდიდესი წარმოებელია. ეფერეოვანი ზეთები გამოიყენება პარფიუმერიასა და კოსმეტიკურ წარმოებაში, აგვმრელებს ქვების პროდუქტებს, საუკეთესო შემადგენელია ზოგიერთი წამლის, ქიმიური ნივთიერებების დამზადების დროს. მათი გამოყენების სფერო განუწყვეტლივ ფართოვდება, მოიცავს სახალხო მეურნეობის სულ ახალ დარგებს.

ეფერზეთოვანთა მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია, რომელიც პირველი ხუთწლედის პერიოდში წარმოიშვა.

რევოლუციამდელ რუსეთში ეს მრეწველობა არსებითად არ იყო. 1913 წელს ეფერზეთოვანი კულტურები (ანისული, ქინძი, პიტნა, ქლიავი, დიდი კამა) გაშენეს 9 ათას ჰექტარზე, ხოლო ნედლეულის მთელმა მოსავლმა 5,3 ათასი ტონა შეადგინა. ჩვენში არსებული ბატარა შინამრეწველური დანადგარები ვერ უზრუნველყოფდა ასეთი რაოდენობის ნედლეულის გადამუშავებასაც, ამიტომ ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

იმპერიალისტური ომის, შემდეგ კი სამოქალაქო ომის დროს ეფერზეთოვანი ნედლეულის წარმოება და ეფერეოვანი ზეთების გამომუშავება მთლიანად შეწყდა. ამის გამო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა პირველ წლებში იძულებული იყო ეფერეოვანი ზეთები საზღვარგარეთ შეესყიდა. 1924-1925 წლებში მათი იმპორტი წელიწადში 180 ტონას შეადგენდა.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული არ ყოფილიყო უცხოეთის ბაზარზე და შეემცირებინა ეფერეოვანი ზეთების იმპორტი, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გააშენებდნენ ეფერზეთოვან კულტურებს ყოფილ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და აგებულიყო ეფერეოვანი ზეთების ქარხნები.

ეფერეოვანი ზეთების პირველი ორი ქარხანა აშენდა 1928-1929 წლებში სოხუმსა და ყირიმში.

სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც შეიქმნა საქართველოში, უკრაინაში, ყირიმში, ჩოვ-შავი ზღვის მხარეში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში, დაწყეს ვარდის, ნემსიწვერას, ლავანდის, ნარინჯის, ბაღის პიტნის, ხარისვარდას და სხვა კულტურების მოშენება.

ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ეფერეოვანი ზეთების წარმოებას. დანგრეული ქარხნებისა და ეფერზეთოვანთა პლანტაციების აღდგენას შვიდი წელი დასჭირდა. მხოლოდ 1952 წელს მიაღწია ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და ურთიერთობის განმტკიცებას.

10 სექტემბერს პრაღაში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა ლ. სვობოდას, ა. დუბჩეკის, ი. სმრკოვსკის, ო. ჩერნიკოსა და გ. ჰუსაკის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკია განამტკიცებს სოციალისტურ წყობილებას, განავითარებს მის დემოკრატიულ და კომუნისტურ ხასიათს, ემსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

მიმართვაში საზღვარგარეთ წასულ ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა მტრულმა პროპაგანდამ და აყოვნებენ სამშობლოში დაბრუნებას, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები მოუწოდებენ დაბრუნდნენ სამშობლოში და ხელი მოჰკიდონ მუშაობას.

ჩეხოსლოვაკიაში ნამდვილი მდგომარეობის ფონზე სწორედ რომ უსუსურად გამოიყურება ბურჟუაზიული პროპაგანდის ჯახირი, რომელიც ჯერ კიდევ გაიძახის, თითქოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სდევნიდნენ ინტელიგენციას და იგი იძულებული იყოს გაიქცეს საზღვარგარეთ. 8 სექტემბერს რომში ევროპის მწერალთა გაერთიანების სახელით გამოქვეყნდა „მანიფესტი“ რომელიც შეიცავს მოწოდებას იხსნან „განდევნილი, საპყრობილეში ჩაყრილი, გადასახლებული“ ჩეხოსლოვაკიელი კოლეგები და სხვ. ეს მორიგი ბოლიტიკური დივერსია მხოლოდ ნიღაბს ხდის იმათ, ვინც იგი წამოიწყო.

ასეთივე მონაჩმახია მტრული პროპაგანდის ცდები სპეციალურად გამოიყენონ ეგრეთ წოდებული „ზარალის“ საკითხი, რომელიც თითქოს მოსვლოდეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას მოკავშირე ქვეყნების მოქმედებით. ეს საკითხი, კერძოდ, აღძრეს დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდაუმ“ და ბურჟუაზიული პროპაგანდის სხვა ორგანოებმა. გაკვირვებას იწვევს ის, რომ დასავლეთ გერმანიის პრესის ასეთი მსჯელობა აღწევს ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე და რადიოგადაცემებში.

განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენენ ის კომენტატორები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ანალეგალურ ფურცლებსა და რადიოგადაცემებში მოუწოდებდნენ ხალხს გაეწყვიტათ კავშირგამბმულობის ხაზები, მწყობრიდან გამოეყვანათ ელექტროქვესადგურები და გაეჩერებინათ წარმოება, მოეწყოთ გაფიცვები, საბოტაჟი, დაეხურათ მაღაზიები, სასტუმროები და სხვ. ამგვარმა მოქმედებამ, რომელიც გამოიწვია კონტრრევოლუციონერთა ჩაქეზებამ, მართლაც მიაყენა გარკვეული ზარალი სახალხო მეურნეობას, და, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი აზღვევინებს დანშაპვეებს.

პრაქტიკული შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის მსვლელობაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს სოციალისტური მონაპოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლ პატრიოტთა კონსოლიდაციის პროცესი. ამავე დროს არ შეიძლება არ დავინახოთ მემარჯვენე ანტისოციალისტური ძალების ცდები კონსოლიდაციისა და ერთიანობის ლოზუნგები გამოიყენონ იმისათვის, რომ დაფარონ ამ ბოლო დროს ანტიხალხური საქმიანობით სახელგატეხილი ელემენტები და თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა. არიან ისეთნიც, რომლებიც თავიანთ საკარო გამოსვლებში ქმნას ასხამენ არალეგალური რადიოსადგურების საქმიანობას. ასეთი ცდები ნაკარნახევია განზრახვით შეაფერხონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ძალების გონივრული მისწრაფება ერთიანობისადმი, იმათი იზოლაციისა და მხილების გარდუვალი პროცესი. ვინც არ კარგავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კაპიტალიზმის რესტავრაციის იმედს.

მაგრამ უეჭველია, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი, მისი კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობენ რა კლასობრივი შეგნებით, შეძლებენ ბოლომდე გაერკვნენ რთულ თანამედროვე ვითარებაში და დაიცვან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები.

საკდესი, 11 სექტემბერი.

ლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა პრეზიდიუმს გააცნო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შედეგები. დღემდე გამართული მოლაპარაკებებიდან გამომდინარეობს, რომ მოსკოვის შეთანხმებათა თანამიმდევრული შესრულება ქმნის მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობით კონსოლიდაციის წანამძღვრებს.

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმთან ერთად დაამთავრებს ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიკის დამუშავებას და წარუდგენს მას განსახილველად სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მომავალ პლენუმს.

პრეზიდიუმზე განიხილეს აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თანამედროვე მდგომარეობა. ბევრი გაზეთი და ჟურნალი საკმარისად არ უჭერს მხარს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს მოსკოვის შეთანხმებათა დაცვისათვის, აქვეყნებს სტატიებს, რომლებიც იწვევენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა შიშს შემდგომი განვითარების გამო. კვლავაც ასეთი მდგომარეობა დარჩა, პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა პრესის მუშაკთა მიმართ უნდა განახორციელონ მკაცრი პარტიული და ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ეთერეოვანი ზეთების სპეციალისტთა საერთაშორისო კონგრესი

ჭადაწყვეტილება საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1968 წლის 17-დან 21 სექტემბრამდე მოეწყოთ ეთერეოვანი ზეთების სპეციალისტთა მორიგი მე-4 კონგრესი.

ეს, უეჭველია, მოწმობს საბჭოთა კავშირის ეთერზეთოვანთა მრეწველობის დიდ წარმატებებს, აგრეთვე მის პროდუქციის საერთაშორისო აეტორიტეტის ზრდას.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ეთერზეთების ერთ-ერთი უდიდესი წარმოებელია. ეთერეოვანი ზეთები გამოიყენება პარფიუმერიასა და კოსმეტიკურ წარმოებაში, აგვმრელებს ქვების პროდუქტებს, საუკეთესო შემადგენელია ზოგიერთი წამლის, ქიმიური ნივთიერებების დამზადების დროს. მათი გამოყენების სფერო განუწყვეტლივ ფართოვდება, მოიცავს სახალხო მეურნეობის სულ ახალ დარგებს.

ეთერზეთოვანთა მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია, რომელიც პირველი ხუთწლედის პერიოდში წარმოიშვა.

რევოლუციამდელ რუსეთში ეს მრეწველობა არსებითად არ იყო. 1913 წელს ეთერზეთოვანი კულტურები (ანისული, ქინძი, პიტნა, ქლიავი, დიდი კამა) გაშენეს 9 ათას ჰექტარზე, ხოლო ნედლეულის მთელმა მოსავლმა 5,3 ათასი ტონა შეადგინა. ჩვენში არსებული ბატარა შინამრეწველური დანადგარები ვერ უზრუნველყოფდა ასეთი რაოდენობის ნედლეულის გადამუშავებასაც, ამიტომ ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

იმპერიალისტური ომის, შემდეგ კი სამოქალაქო ომის დროს ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოება და ეთერეოვანი ზეთების გამომუშავება მთლიანად შეწყდა. ამის გამო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა პირველ წლებში იძულებული იყო ეთერეოვანი ზეთები საზღვარგარეთ შეესყიდა. 1924-1925 წლებში მათი იმპორტი წელიწადში 180 ტონას შეადგენდა.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული არ ყოფილიყო უცხოეთის ბაზარზე და შეემცირებინა ეთერეოვანი ზეთების იმპორტი, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გააშენებდნენ ეთერზეთოვან კულტურებს ყოფილ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და აგებულიყო ეთერეოვანი ზეთების ქარხნები.

ეთერეოვანი ზეთების პირველი ორი ქარხანა აშენდა 1928-1929 წლებში სოხუმსა და ყირიმში.

სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც შეიქმნა საქართველოში, უკრაინაში, ყირიმში, ჩოვ-შავი ზღვის მხარეში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში, დაწყეს ვარდის, ნემსიწვერას, ლავანდის, ნარინჯის, ბაღის პიტნის, ხარისვარდას და სხვა კულტურების მოშენება.

ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ეთერეოვანი ზეთების წარმოებას. დანგრეული ქარხნებისა და ეთერზეთოვანთა პლანტაციების აღდგენას შვიდი წელი დასჭირდა. მხოლოდ 1952 წელს მიაღწია ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და ურთიერთობის განმტკიცებას.

10 სექტემბერს პრაღაში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა ლ. სვობოდას, ა. დუბჩეკის, ი. სმრკოვსკის, ო. ჩერნიკოსა და გ. ჰუსაკის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკია განამტკიცებს სოციალისტურ წყობილებას, განავითარებს მის დემოკრატიულ და კომუნისტურ ხასიათს, ემსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

მიმართვაში საზღვარგარეთ წასულ ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა მტრულმა პროპაგანდამ და აყოვნებენ სამშობლოში დაბრუნებას, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები მოუწოდებენ დაბრუნდნენ სამშობლოში და ხელი მოჰკიდონ მუშაობას.

ჩეხოსლოვაკიაში ნამდვილი მდგომარეობის ფონზე სწორედ რომ უსუსურად გამოიყურება ბურჟუაზიული პროპაგანდის ჯახირი, რომელიც ჯერ კიდევ გაიძახის, თითქოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სდევნიდნენ ინტელიგენციას და იგი იძულებული იყოს გაიქცეს საზღვარგარეთ. 8 სექტემბერს რომში ევროპის მწერალთა გაერთიანების სახელით გამოქვეყნდა „მანიფესტი“ რომელიც შეიცავს მოწოდებას იხსნან „განდევნილი, საპყრობილეში ჩაყრილი, გადასახლებული“ ჩეხოსლოვაკიელი კოლეგები და სხვ. ეს მორიგი ბოლიტიკური დივერსია მხოლოდ ნიღაბს ხდის იმათ, ვინც იგი წამოიწყო.

ასეთივე მონაჩმახია მტრული პროპაგანდის ცდები სპეციალურად გამოიყენონ ეგრეთ წოდებული „ზარალის“ საკითხი, რომელიც თითქოს მოსვლოდეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას მოკავშირე ქვეყნების მოქმედებით. ეს საკითხი, კერძოდ, აღძრეს დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდაუმ“ და ბურჟუა

რთველი ალაზანზე

ალაზნის ველი განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომით, როცა ბუნება ათასფერად არის მოქარგული, ხოლო მაერი მწიფე ყურძნისა და ხილის სურნელებით არის გაჟღენთილი. ალაგ-ალაგ კი გადაშავებული ხოდაბუნები მოჩანს. აყრილი ჭალები ისევ ჩაქარგული ერთმანეთში, რომ ფიროსმანის ფუნჯით ნახატი გეგონებათ. ლამაზია კახეთი შემოდგომაზე, უფრო ლამაზია ალაზნის მადლიანი ველი — ვენახებიანი, ბაღებიანი, კოხტა პატარძალივით მორთული და მოკაზმული.

ქარვისფერი მტევნებით დატვირთული ზვრებიც ხომ მერთვლეებს ელოდა! და აბა! ეს დღეც დადგა. ალაზანზე რთველი დაიწყო!

ტრადიციულად რთველის დაწყება კვლავ ხირხელ მევენახეებს ხვდათ წილად და 10 სექტემბერს ხელკალათიანთა მთელი არმია შეესია ზვრებს. ეს ოცდაშეთხუთმეტე რთველია ხირხაში.

ალაყაფის კარებში გაკრული წითელი ტილო გვამცნობს, რომ მეურნეობის კოლექტივი წელს 2.500 ტონა ყურძნისათვის იბრძვის. გეგმა კი 2.000 ტონას ითვალისწინებს.

სახელმწიფო მარანში პირველი ტონები გაგზავნეს მეოთხე, მესამე და მეოთხე აგროგანყოფილებებმა, რომელთაც ზოთა ხიზანიშვილი, უშანგი ბეგაშვილი და თენგიზ დარაშვილი ხელმძღვანელობენ. ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერი! — ასეთია მათი ვარაუდი.

— უფრო მეტს მოველით № 1 აგროუბნიდან, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი გიგი ჯანგულაშვილი. უკანასკნელ წლებში ხირხელი მევენახეები ყურძნის კარგ მოსავალს იღებენ. ამას შრომით. საქმის სიყვარულით, ცოდნით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით აღწევენ.

რთველი პასუხსაგები პერიოდია. და ამიტომაც ყველა ენერგიულად შრომობს ვენახებში. მოწინავეთა შორის მოწინავენი მაინც ბევრია. ძველი მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი შაქრო ბუჭულაშვილი ერთი პირველთაგანია. მას მხარს უმშვენებენ. ქ. ჭუჭულაშვილი, თ. ბენაშვილი, გ. ჭანყარაშვილი, რ. ბიძინაშვილი, მ. ანდუსენკო, ა. ზახარიანი, დ. იასეშვილი და ბევრი სხვა. ისინი ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ხირხელთა მეზობლად არის წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხანის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ნ. მამაიაშვილი) ზვრები. ზემომაჩხაანელებსაც წელს ბარაქიანი რთველი ექნებათ. საამისოდ ამთავითვე ემზადებიან. ხ. გომელაურის ბრიგადამ წელს კარგად იშრომა, და უხვ მოსავალსაც მოელის. მას არც გ. ჭამასპიშვილისა და ვ. ნატროშვილის ბრიგადები ჩამორჩებიან.

ხირხის ღვინის ქარხანა (დირექტორი გ. მარტაშვილი) რთველს მომზადებული შეხვდა. მზად აქვთ ტარა-ჭურჭელი, საწური და საწნები დანადგარები. ყველამ თავისი საქმე კარგად იცის. ყურძნის მიღება-გადამუშავება აქ შეუფერხებლად მიმდინარეობს. ახლა წითელწყაროს ღვინის ქარხანაშიც (დირექტორი ჯ. ყოჩიაშვილი). წითელწყაროს ღვინის ქარხანაში მწყობრში ჩადგა 200.000 დეკალიტრის ტევადობის ახალი მარანი. ამ ქარხანამ წელს გეგმით 4.000 ტონა ყურძენი უნდა გადამუშაოს. უკვე აქ ყოველმხრივ მზად არიან ამისათვის, რომ 5.500 ტონა ყურძენი მიიღონ და გადამუშაონ. წელს ამ ქარხანაში ყურძნის მოსავალი პირველებმა ჯაფარიძელებმა მიიტანეს.

ქვევრებში უკვე დუღს მაჭარი. ვენახებში იკრიფება დამკრახული მტევნები. რთველი დაიწყო ალაზნის ველზე!

ვ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



რთველია სიღნაღის რაიონის ხირხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის კოლექტივი ყურძნის სამრეწველო ჯიშების მასობრივ კრეფას შეუდგა.

სურათებზე: მარცხნივ — ყურძნის მოწინავე მკრეფავი კოზაკაშვილი ნაზი ბიძინაშვილი; მარჯვნივ — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ჯანგულაშვილი ამოწმებს ახალი მოსავლის ყურძენს.

ფოტო ი. დავითაშვილისა,
(საქდესის ფოტოქრონიკა).

გ. სპასკი თუ ვ. კორჩნოი?

ასეთი ეჩიეულო ინტერესი მსოფლიო ეემპიონობის ტიტულისადმი, დიდი ხანია არ ასსოვთ ჭადრაკის მოყვარულებს. კიევის ოქტომბრის კულტურის სასახლის კონსალექციო დარბაზი ვეღ იტევს დასწრების ყველა მსურველს, ამიტომ ეწყობა პარტიის მსვლელობის დემონსტრაციები.

პირველმა სამმა პარტიამ ცხადყო, რომ ბრძოლა შეუპოვარი იქნება. მართალია, გ. სპასკი დაწინაურდა 1 ქულით (2:1), მაგრამ ეს მხოლოდ სტარტია, წინ კი გადამწყვეტი შეხვედრებია.

გუშინ მეტოქეებს მეოთხე პარტია ჰქონდათ. ამჯერად თეთრებით თამაშობდა ვ. კორჩნოი. პარტია გადაიდო. დღეს მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

ოლიმპიელთა ბენიკაბე რაზმი

მექსიკოში გამგზავრებამდე ჩვენი ოლიმპიელები 12 სექტემბერს კრემლში მივიდნენ. ისინი იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი. ოლიმპიელები იყვნენ აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

საბჭოთა ოლიმპიელების პირველი რაზმი — ასამდე მძლეოსანი, ხუთჭიდელი, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატი გასამგზავრებლად მოემზადა. „ილ-18“ მარკის ორი საბჭოთა ლაინერი 12 სექტემბერს შუადამისას გაფრინდება.

ეს სპორტსმენები — საბჭოთა ოლიმპიური გუნდის მეწინავე რაზმი — პირველთა შორის ჩავლენ ოლიმპიურ სოფელში, რომელსაც 13 სექტემბერს საზეიმოდ გახსნის მექსიკის პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი.

დანარჩენი საბჭოთა ოლიმპიელები უახლოეს დღეებში გაემგზავრებიან მეხიკოში. (საკდესი).

მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავი

„ანთეოსი“ სოხუმში

სოხუმის აეროდრომზე დაეშვა მსოფლიოში ყველაზე დიდი სატრანსპორტო თვითმფრინავი „ან-22“ — „ანთეოსი“. მრავალრიცხოვანმა მგზავრებმა, აეროპორტის მუშაკებმა და მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმა აღტაცებით დაათვალიერეს საბჭოთა ტექნიკის ეს საოცრება. „ან-22“ მის გვერდით მდგომი სამგზავრო ლაინერების ფონზე გოლიათივით გამოიყურებოდა.

თვითმფრინავის ინჟინერმა ექსპლოატაციის დარგში ვლადიმერ დენისკინმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— სოხუმში აშხაბადიდან ჩამოვფრინდით. შემდგომი ჩვენი მარშრუტია ოდესა, ქერჩი, კიშინიოვი. ჩვენ ამჟამად ამ შესანიშნავი მანქანის საბოლოო გამოცდას ვატარებთ. როგორც ცნობილია, „ან-22“ თვითმფრინავის მთელი ასაფრენი წონა 250 ტონას შეადგენს. ამაში შედის სათბობი და ტვირთი. თვითმფრინავი საათში აკეთებს 600 კილომეტრ სიჩქარეს. დატვირთვა-გადმოტვირთვის ყველა ოპერაცია ელექტროჯალამბრებით ხდება.

„ანთეოსის“ სიგრძე 55 მეტრია. მასში მოსახერხებელია მსხვილი ტვირთების მოთავსება, ისეთებისაც კი, როგორსაც რკინიგზა არ იღებს. საკმარისია ითქვას, რომ თვითმფრინავში ერთდროულად შეიძლება დაიტვირთოს „ლაზ-ის“ ტიპის სამი დიდი ავტობუსი, ან „ბელარუსის“ ტიპის ცამეტი ტრაქტორი, რამდენიმე კომბაინი და ა. შ. თვითმფრინავის მოტორების სიმძლავრე 60 ათას ცხენის ძალას უდრის.

— ჩვენ დავეშვით მრავალ აეროდრომზე, — განაგრძო ვ. დენისკინმა, — ბორტზე გვქონდა სხვადასხვა ტვირთი. ყველა რთული გამოცდა ცხადყოფს მოტორების და კვანძების საუკეთესო მუშაობას.

ამ რეისში გამოფრენის წინ, — თქვა ვ. დენისკინმა, — ხომალდის ეკიპაჟთან, მის მეთაურთან საბჭოთა კავშირის გმირ იური კურლინთან და ინჟინერთა ჯგუფთან, რომლებმაც ლაინერის უკანასკნელი გამოცდა ჩაატარეს, საუბარი ჰქონდა თვითმფრინავის გენერალურ კონსტრუქტორს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს ოლეგ ანტონოვს. მან მოგვცა საფუძვლიანი და ფრიად ძვირფასი მითითებები, რომლებიც სრულად გამოგვადგა ფრენის ყველა მარშრუტზე.

მალე ეს ბუმბერაზი თვითმფრინავი ავიატვირთებს გადაიტანს ჩვენი ქვეყნის მრავალ ავიახაზზე.

ი. გოგეჩია.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: „ანთეოსი“ სოხუმის აეროპორტში.
ფოტო ს. კოროტკოვისა.

„სქურა“ და „ლუგელა“

ფალეჯიკა, (საკ. კორ.). ხუთწლედის მესამე წლის ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის „სქურისა“ და „ლუგელას“ მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანის კოლექტივი, რომელმაც სამეურნეო წლის 7 თვეში ჩამოასხა 1 მილიონ 970 ათასი ბოთლი „სქურა“ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 850 ათასი ბოთლისა. ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა სამკურნალო წყლის „ლუგელას“ ჩამოსხმის გეგმა. 270 ათასი ბოთლი „ლუგელას“ ნაცვლად ჩამოსხმულია 385 ათასი ბოთლი.

ქარხნის კოლექტივი ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისა და კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა 3 მილიონ 700 ათასი ბოთლი „სქურისა“ და „ლუგელას“ ნაცვლად ჩამოასხას 4 მილიონ 200 ათასი ბოთლი მინერალური წყლები.

ნიკოლოზ გარათაშვილი მთა სოფელში

სოფელი არასაძისი ოჩამჩირის რაიონში კავკასიონის მთის კალთებზე მდებარეობს. დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ გარათაშვილის სახელს ატარებს ამ სოფლის კოლმეურნეობა. მთიელი აფხაზები სათუთად ატარებენ დიდი პოეტის უკვდავ სახელს. პოეტის უკვდავ ნაწარმოებებს ნახავთ თითქმის ყველა კოლმეურნის ოჯახში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ბევრი ბიჭუნა პოეტის სახელს — ტატოს ატარებს.

არასაძისელები პოეტის დაბადების 150 წლისთავს დიდი სიხარულით შეხვდნენ.

მ. ბოჟუა.

უსახსოვრეს მუზეუმს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ წელს გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მის ექსპონატებს ამდიდრებენ თანამემამულენი. პროფესორმა ილ. აბულაძემ მუზეუმს უსახსოვრა ძვირფასი ლიტერატურა და ისტორიული ხელნაწერები. მხატვრებმა და მოქანდაკეებმა ალ. ბანძელაძემ, შ. ცხადაძემ, ი. ქლიბაძემ, ჯ. რუხაძემ, ა. კიკნაველიძემ და სხვებმა მუზეუმს გადასცეს თავიანთი ნამუშევრების ორიგინალები. მასწავლებელმა ა. კვეხიტაძემ მუზეუმს გადასცა დეკანოზ ლომბაშიძის სტამბაში დაბეჭდილი სამკურნალო წიგნი, ექიმმა მ. ედიბერიძემ — საკუთარი სახლის მოჩუქურთმებული ივანი.

ა. გ. კაკულია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბალნეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა აკაკი გრიგოლის-ძე კაკულიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხარისხების მინიჭებელი საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პერიფერიული სისხლძარღვების თრომბომაობლიტერებელი ნეიულებით დაავადებულთა ზოგიერთი ბალნეოლოგიური და ფიზიოთერაპიული ფაქტორებით მკურნალობის შედარებითი ეფექტურობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. გ. კაკულიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.



ავარია ფყნეთის გზაზე

იმ დღეს ტაქსმოტორების ბენზინის ჩამომსხმელი ომარ გიორგის-ძე მაცაბერიძე დილიდანვე ნუნუას შეექცეოდა. ნაბახუსევს მანქანით გასეირნება მოუნდა და გამოსავალსაც მალე მიაგნო.

— ახალთახალი „მოსკვიჩი“ უდგას ჩვენს სამსახურში ოთარ მაისურაძეს, ავდეგები, გავაქანებ, მერე რა, რომ მართვის მოწმობა არა მაქვს.

შეისრულა სურვილი ომარმა და მანქანა ბაპანაქები სიცხეში ფყნეთისაკენ გაიქანა. აქ ძმაბიჭებთან ერთად განავრძო ქეიფი. ბოლოს, კარგად რომ გამოთვრნენ, თბილისისაკენ სიმღერით დაეშვნენ. ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ო. მაცაბერიძისათვის უკვე სულ ერთი იყო მოძრაობის საპირისპიროდ წაგიდოდა თუ სწორად... მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ფყნეთის გზაზე ომარ მაცაბერიძე შეასკდა თბილისიდან მომავალ „ვოლგას“, რომელსაც ო. ყვანია მართავდა. დაჯახების შედეგად მძღოლებს გარდა შვიდი მგზავრი დაზიანდა, რომლებიც საავადმყოფოში მოთავსეს.

ომარ მაცაბერიძე ქალაქის მერვე საავადმყოფოში მიიყვანეს, საავადმყოფოს მორიგე ნეიროპათოლოგმა ილ. კიკნაძემ და ქირურგმა გ. გელაშვილმა გამოძიებას რატომღაც დბუგვიანეს დასკვნის მიცემა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ საექიმო დასკვნაში აღნიშნეს, რომ მოქალაქე ო. მაცაბერიძე ნასვამი იყო. ნასვამობის ხარისხის დადგენა ძნელდება.

აეტრუსულიგან ო. მაცაბერიძეს აქ მოთხრობილი ამბავს არაფერს დავამატებთ. მას კანონი გასცემს საკადრის პასუხს და შესაფერ სასჯელს მიუზღავს, მაგრამ არც ექიმები გამოიყურებიან ამ საქმეში საკადრისად.

განა ასე უნდა ვეხმარებოდეთ გამოძიებას დანაშაულის დადგენაში, ასე უპასუხისმგებლოდ უნდა ასრულებდნენ საბჭოთა ექიმები თავიანთ მოვალეობას.

ირ. ჩოფიკაშვილი,
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

საკვლევად ავიღოთ!

მსოფლიო გაზარზე

ბათუმი. (საკ. კორ.). მივცეთ მოსახლეობას მაღალხარისხოვანი, ლამაზი და იაფი ფეხსაცმელი! — ასეთია ბათუმელ მეფეხსაცმელეთა ვალდებულება. მათს შრომითს წარმატებებზე ისიც მეტყველებს, რომ 22 აგვისტოსათვის შეასრულეს 8 თვის გეგმა.

ბათუმელი მეფეხსაცმელეები ამჟამად ქალისა და მამაკაცის 11 სახის ფეხსაცმელს უშვებენ. 7 სახის ფეხსაცმელი დემონსტრირებულია იზმირის საერთაშორისო გაზრობაზე.

ლიდერმა ქულა დაკარგა

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაუთა კოლექტივს წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატზე ჯერ არც ერთი დამარცხება არ განუცდია და უახლოეს მეტოქეს — „კუნცევოს“ 6 ქულით უსწრებს.

სწორედ ამ გუნდთან ჰქონდა მორიგ ტურში პაემრობა თბილისის „ბურევესტნიკს“. ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თბილისელებმა თავიდანვე ტემპიანი ბრძოლა განავითარეს და თამაშიც მათ წაიყვანეს. შუა ტაიმისათვის ისინი წინ იყვნენ 5 ბურთის სხვაობით. მართალია, ამის შემდეგ მოსკოველებმა ნაწილობრივ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ ტაიმი მაინც წაგეს 10:12.

მეორე ნახევრის დასაწყისში დედაქალაქის ხელბურთელებმა წონასწორობა აღადგინეს — 12:12, შემდეგ კი დაწინაურდნენ. ბოლო წუთებისათვის ანგარიში იყო 18:15 მოსკოველთა სასარგებლოდ, მაგრამ თბილისელებმა ზედიზედ გაიტანეს ბურთები და მატჩი ფრედ — 18:18 დაამთავრეს.

დანარჩენი მატჩების შედეგები კაუნასში ასეთი იყო: ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ — რიგის „დაუგავა“ 18:10, კრასნოდარის „ბურევესტნიკი“ — კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 21:14, მოსკოვის „კუნცევო“ — კაუნასის „ჟალგირისი“ 22:16.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ლიდერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს 28 ქულა აქვს, დედაქალაქის „კუნცევოს“—22 ქულა, თბილისის „ბურევესტნიკს“ — 18 ქულა.

მნიშვნელოვანი ორი ქულა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ციროვაბადი) 2:1 (0:1). ქუთაისი. 12 სექტემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

„ტორპედო“ — კოტრიკაძე, ზვერავა, წიკვიავაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ჭოლაძე (ნაკუბია), ზარია, ასიტაშვილი, ვეკუა, გაღელია, ჭითანავა;

„დინამო“ — გუსეინოვი, ნაჯაფოვი, სპიკინი, ფალკოვსკი, ბატრაუნი, მაგერამოვი, ფილატოვი (სტუპინი), მურიტოვი, ეინულაევი, ანდულაევი, კასიმოვი.

მართალია, გუშინდელი მეტოქეები არ მიეკუთვნებოდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს და არც საპრიზო ადგილების მაძიებლები იყვნენ, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათი ბრძოლა არანაკლებ მიმზიდველი და პრინციპული აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ამ მატჩში წყდებოდა მეტად მნიშვნელოვანი და საპირბოროტო — აუტსაიდერობის საკითხი.

ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ და იერიშებიც მათი მხრიდან ხორციელდებოდა. ტორპედოელებს მეტოქის კარის აღების გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, ვიდრე კიროვაბადელებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს. 38-ე წუთზე ბურთი აბდულაევმა გაიტანა. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ ტაიმში.

მიუხედავად იმისა, რომ ტორპედოელებს აკლდათ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, მათ არც მეორე ნახევარში შეუნელებიათ ინიციატივიანი ბრძოლა. დინამოელთა კარი აშკარა საფრთხეში იყო, და აი 62-ე წუთზე ნახევარმცველმა ზარიამ წონასწორობა აღადგინა — 1:1. სტუმრებმა გაამლიერეს დაცვა, წინ მხოლოდ ერთი ან ორი ფეხბურთელი იყო, ჩანს ისინი ფრეს წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ ტორპედოელები არ ცხრებოდნენ და 83-ე წუთზე ვეკუამ გამარჯვების გოლი მოუტანა თავის გუნდს.

ტორპედოელებმა მოიგეს მატჩი 2:1 და სამშ ზონას გასცილდნენ.

ლუგანსკი

„ტორპედო“ (ლუგანსკი) — „ალანია“ (ორჯონიკიძე) 1:0. ლუგანსკი. 12 სექტემბერი. ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ბ. ბოგოლიუბოვი (ბელგოროდი).

„ტორპედო“ — ბოგოევი, ბაკალინოვი, ანანიევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი.

„ალანია“ — ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი.

ბოგოევი — ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი, ბოგოევი.

გუშინ ფეხბურთის ბოლოდნებზე

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეშვიდე ტურის მორიგი მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

ამ დღის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მატჩი მოსკოვში დედაქალაქის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდებს შორის. უკანასკნელ შეხვედრებში ორივე კოლექტივი აღმავლობით იბრძვის, ამიტომ მათი გუშინდელი პაემრობა დიდ ინტერესს იწვევდა. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

თბილისის „დინამოსთან“ დამარცხების შემდეგ დედაქალაქის ლოკომოტიველები ლენინგრადს ეწვივნენ და აქ პაემრობა ჰქონდათ ადგილობრივ „ზენიტთან“. მათი პირველი წრის შეხვედრა მოსკოვში ფრედ (0:0) დამთავრდა. გუშინაც მოწინააღმდეგენი ფრეს (1:1) დასჯერდნენ.

ბაკოური თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტჩისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივები. წარმატება როსტოველებს ხვდათ 1:0.

ალმა-ატაში ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდები. გიმარჯვეს კუიბიშეველებმა 1:0.

ბრიზი-არმიელებს

გუშინ მოსკოვში გაიმართა ფინალური ასპარეზობა ჰოკეიში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ბრიზზე. ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „სპარტაკის“ გუნდები. მძაფრ ბრძოლაში წარმატება ცსკა-ს გუნდს ხვდა ანგარიშით 6:5. არმიელმა ჰოკეისტებმა ბრიზი მოიპოვეს.

მეხიკოს საგზურები მოიპოვეს

კიევში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება წყალში ხტომაში. უკანასკნელ დღეს პაემრობა გამართეს კოშკიდან მხტომელმა ვაეებმა. აქ უძლიერესი იყო საფონოვი — 452,16 ქულა. ვერცხლის ბრინჯაოსი გახდა პოგოევი, ბრინჯაოსი — ბელნიკოვი.

ჩემპიონატი ამოიწურა. ცნობილია, თუ ვინ გაემგზავრება მეხიკოში. ეი ისინი: ქალებიდან ტრამპლინიდან ხტომაში — პოგოევა, ბაკალინოვა და ანონინა; კოშკიდან ხტომაში — ლობანოვა, ალექსეევა და კარპუხინა, ან ხარ-ქისოვა; ვაეებიდან ტრამპლინიდან ხტომაში — პოლულახა, პახომოვი, და ვასინი; კოშკიდან ხტომაში — საფონოვი, პოგოევი, ბელიკოვი.

ᲠᲐᲓᲘᲝ

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვალსები ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 11.15 — ვალა-ლობოსი. საფორტეპიანო პიესები, 11.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მიმოხილვა. 11.45 — ტიტა რუფოს კონცერტი, 12.00 — დოკუმენტური მოთხრობა „ფოლადის ტალღა“, 12.15 — ო. თაქთაქიშვილი. ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“, 14.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 15.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე“ (მოსკოვი), 15.15 — პაულსი. საფორტეპიანო ციკლი „შთაბეჭდილებანი“; სოლოდუხო. ვოკალური ციკლი „განთიადზე“, 15.40 — ციკლიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია“, ლეტველი პოეტების ლექსები, 16.00 — ციკლიდან „მოგზაბები, სტატიები, წერილები“ — ვ. ფურტვენგლერის სტატიები მუსიკისა და დირიჟორობაზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის — „თბილისი სიმღერებში“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთო და კოტედან“, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — კ. პალასიო, რომანსები, 19.00 — ციკლიდან სასიმღერულო მამულიშვილები“ აკადემიკოსი ი. გეკუა. 19.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 20.20 — რადიოკონცერტი „შოლტი“, 20.50 — საესტრადო კონცერტი, 21.30 — „ლიტერატურული საღამოები, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ჯ. როსინი. ნაწყვეტები ოპერა „სევილიელი დალაქიდან“. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა. 11.45 — მხატვრული ფილმი „შუადღის ბორანი“. 16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — ნ. ბარათაშვილის საიუბილეოდ — „პოეზიის საერთაშორისო საღამო“ გადაცემა ვ. ბაბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრიდან, 18.45 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.15 — გადაცემა „თერჯოლელ მშრომელებთან“, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის. 20.00 — სპორტული პროგრამა „სტადიონი“. საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ მინსკი — „სპარტაკი“ მოსკოვი (გადმოცემა მინსკიდან), 21.45 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი, 23.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.30 — ეკრანზეა მოსკოვის ოპერეტის თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15— „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

13 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქარმენი (ზ. ანჯაფარიძის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ტოპაზი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნ. ბარათაშვილის საიუბილეო პოეზიის საერთაშორისო საღამო, რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — ფსკერზე, ფილარმონიის სახაფხულო— საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, თოჯინების ქართული — წითელი ეშმაკუნები (დასაწყისი დღის 11 ს. და 2 ს.).

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ

ფეხბურთის მოყვარულები დღეს „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების კიდევ სამი მატჩის მოწმენი იქნებიან.

ყურადღებას იპყრობს შეხვედრები მინსკსა და დონეცკში. მინსკის დინამოელებს საკუთარ მოედანზე შეხვედრა ექნებათ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან მოსკოვის „სპარტაკთან“.

თბილისის დინამოელები დონეცკს ეწვივნენ და დღეს აქ შეხვდებიან ადგილობრივ „შახტიორს“. ამ გუნდების პირველი მატჩი თბილისში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ლუგანსკში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ზარიასა“ და ერევნის „არარატის“ გუნდები.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 13 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	29	17	10	2	43-17	44
„სპარტაკი“	26	16	5	5	44-27	37
„ტორპედო“ (მ.)	27	13	10	4	42-22	36
ცსკა	27	13	8	6	34-21	34
„დინამო“ (ვ.)	29	12	8	9	37-28	32
„დინამო“ (მნ.)	26	12	8	6	29-21	32
„დინამო“ (თბ.)	26	11	9	6	32-16	31
„ლოკომოტივი“	27	10	11	6	28-24	31
„ჩერნომორეცი“	27	10	10	7	37-32	30
„ზენიტი“	27	7	12	8	24-33	26
„კრ. სოვეტოვი“	27	8	9	10	18-20	25
სკა	27	9	7	11	34-36	25
„შახტიორი“	26	7	10	9	26-26	24
„ნეფტჩი“	27	7	8	12	24-35	22
„ზარია“	27	7	8	12	15-32	22
„ტორპედო“ (ქ.)	28	6	8	14	22-33	20
„არარატი“	26	7	5	14	24-37	19
„კაირატი“	27	5	7	15	17-32	17
„პახტაკორი“	27	5	7	15	27-49	17
„დინამო“ (კირ.)	27	4	8	15	16-32	16

14-დან 17 სექტემბრამდე
ბულგარული ფილმების ფესტივალი
კინოთეატრ „კმირანში“

14-15/IX
ნუშის სურნელება,
16-17/IX
ალექსანდრე დიდის დაღუპვა,
14/IX საღამოს 8 საათზე კინოთეატრში შედგება შეხვედრა ბულგარელ კინემატოგრაფისტებთან.
დაწვრილებით პრესის და რადიოს სარეპერტუარო განცხადებებში.

სურათზე: კადრი ფილმიდან: „ნუშის სურნელება“.

რედაქტორი დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09,